ლოგოს კონკურსი ERASMUS+ პროგრამის პროექტისთვის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს ERASMUS+ პროგრამის პროექტისთვის ECOMODE - "ეკო - ხელშეწყობა - ინოვაციური ბიზნეს-მოდელის განვითარება სამასპინძლო ინდუსტრიის მცირე და საშუალო ბიზნესში" (Fostering Eco – Innovative Business Model Development in SMEs in Hospitality Industry) ლოგოს შესაქმნელად.

ლოგო იქნება პროექტის ვიზუალური სახე, რომლითაც ის წარსდგება ყველა შემდგომ სტადიაზე, სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში, საქმიან კორესპონდენციაში.

გამარჯვებული ლოგოს ავტორი მითითებული იქნება პროექტის ოფიციალურ დოკუმენტებში და ასევე მას გადაეცემა სერტიფიკატი ევროკავშირის პროექტში შეტანილი წვლილისთვის.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე გამარჯვებული 10 საუკეთესო ნამუშევარი გამოავლინდება და დაჯილდოვდება სამახსოვრო საჩუქრებით. ათივე ნამუშევარი მეორე ეტაპზე გაიგზავნება იტალიაში, სადაც ასევე გაიგზავნება კონსორციუმის შემადგენელი სხვა ქვეყნების ნამუშევრებიც. იტალიაში გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს წარმომადგენელი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით.

<u>კონკურსის პირობები:</u>

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ამისათვის მან უნდა შეავსოს შესაბამისი ცხრილი:

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის ნომერი	
ელ.ფოსტა	
ტელეფონი	
მობ.ტელეფონი	
დაწესებულება	
განყოფილება, ფაკულტეტი, დეპარტამენტი...	

კონკურსის თემა უნდა იყოს ერთის მხრივ, ეკოლოგია, გარემოს დაცვა, ტურიზმის სამასპინძლო სეგმენტი, და მეორეს მხვრივ უწყვეტი განათლების კომპონენტი, სასწავლო პროცესის თანმხლები ინოვაციური ტექნოლოგიებით - ღია ონლაინ სასწავლო სისტემით, სათამაშო ინდუსტრიული რესურსების გამოყენებით.

ლოგოს უნდა ჰქონდეს წარწერა - ECOMODE.

გამარჯვებულ ლოგოზე პროექტის ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ ექსკლუზიური საავტორო უფლება.

ლოგო წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც JPG ფაილის სახით, ასევე ვექტორული გამოსახულებით (Adobe Illustrator, Corel ან სხვა ნებისმიერი ვექტორული პროგრამა). გამარჯვებულ ლოგოს გამოავლენს სპეციალური ჟიური, რომელიც ნამუშევრებს შეაფასებს შემდეგი კრიტერიუმებით: 1. ვიზუალური მხარე; 2. კონცეფცია.

ჟიური საუკეთესო ნამუშევარს გამოავლენს კონფიდენციალური შერჩევის გზით, კონსესუსის პრინციპით.

ნამუშევრების მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 27 ოქტომბერი.

გამარჯვებული გამოვლინდება 29 ოქტომბერს.

პროექტის აღწერა

პროექტი ECOMODE - "ეკო - ხელშეწყობა - ინოვაციური ბიზნეს-მოდელის განვითარება სამასპინძლო ინდუსტრიის მცირე და საშუალო ბიზნესში" (Fostering Eco – Innovative Business Model Development in SMEs in Hospitality Industry) დაიწყო 1 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 2 წლის განმავლობაში 2020 წლის 20 სექტემბრამდე.

მისი მისიაა ტურისტულ ინდუსტრიაში მდგრადი სამასპინძლო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ეკონომიკური სარგებელის მიღებაზე ეკოლოგიური ფაქტორის, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისა და დაცვის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია ტრეინინგების სერია, სასწავლო კურსის მომზადება, სასწავლო ონლაინ პლატფორმის მომზადება,

სასწავლო კურსისთვის შესაბამისი სათამაშო პროგრამების შექმნითა და ჩართვით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას, ინფორმაციის კარგ აღქმადობასა და შეფასებას.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა ისეა აწყობილი, რომ მისი გამოყენება შეძლონ ამ ბიზნესში ჩართულმა სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენელმა და ასაკის ჯგუფმა მაქსიმალურად არის გამარტივებული ათვისებისა და შესწავლის პროცესები.

ERASMUS+ პროგრამის კონკურსში გამარჯვებული პროექტი (#2018-1-IT01-KA202-006788 (CUP code G94D18000030006)) მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობას ინოვაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ასევე, სტრატეგიულ პარტნიორობას პროფესიული განათლების განვითარებისათვის ტრეინინგისა და სწავლების გზით. დამფინანსებელი ორგანიზაციაა იტალიის ეროვნული სააგენტო ERASMUS+ INAPP.

პროექტის კოორდინატორია პროფესიული განათლებისა და სწავლების ცენტრი, იტალიური ორგანიზაცია “Training 2000” – VET organization (პროექტის ხელმძღვანელი - დოქტორი ელმო დე ანჯელისი (Elmo De Angelis). კონსორციუმში ჩართულები არიან საქართველოს, უნგრეთის, ავსტრიის და თურქეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოს მხრიდან პროექტში მონაწილეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

სტუ-ს ეგიდით პროექტის მართვას ანხორციელებენ: კოორდინატორი პროფ. ნინო ფაილოძე (ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი), ასოც. პროფ. ნინო ჩაჩავა (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი), პროფ. ია მოსაშვილი და პროფ. თამარ ლომინაძე (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი).

პროექტის ხანგრძლივობა 24 თვეა. იგი მიმდინარე წლის 1-ელ ოქტომბერს იწყება და 2020 წლის 30 სექტემბერს დასრულდება.

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ:

ბელა თინიკაშვილი, archibiba@yahoo.com, ტელ.595 00 74 03

ნამუშევრები გაიგზავნოს მისამართზე - archibiba@yahoo.com

n_chachava@gtu.ge, ninopailodze@mail.ru